ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 48 38
30/04/2019

38-48-4-201904301210

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიასა და ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდს შორის ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების გაფორმებისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-5 პუნქტის საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. მიეცეს თანხმობა ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიას გააფორმოს თხოვების ხელშეკრულება ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდთან ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი მოძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებით:
   - ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება „ფორდ ტრანზიტი, გამოშვების წელი 2006, სახელმწიფო ნომერი WW 198 OW;
2. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ტყიბულის მუნიციპალიტეტსა და ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდს შორის თხოვების ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული საჭირო დოკუმენტაციის მომზადება.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.(ი. ლომთაძე).
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო